საექსპერტო დასკვნა -

„ მრავალფუნქციური კომპლექსი ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე “

December 17

2018

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებსაქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დიდ დიღომში ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.035.828) მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, დიდ დიღომში ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.035.828) მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტორმა : **ნატა ჩიჩილიძემ**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებსაქართველოს მ თავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების
(„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების

მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

- **პროექტის აღწერილობა**

დაგეგმარების მიზნის აღწერა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტი მიზნად ისახავს მრავალფუნქციური კომპლექსის დაგეგმარებას (კომერციული და საცხოვრებელი დანიშნულებით) , თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში , ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე, საკადასტრო კოდი 01.72.14.035.828 . ნაკვეთის ფართობი შეადგენს 3601 მ2_ს.

ნაკვეთს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი დანიშნულების გზა , ვეფხისტყაოსნის ქუჩა , რომლიც წარმოადგენს მთავარ სამანქანო და საფეხმავლო მისადგომს საპროექტო ტერიტორიისაკენ , ნაკვეთს სამხრეთის მხარიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკევთები , დაბალი განაშენიანების სახლები და მცირე ინტენსივობის სამანქანო გზა , რომლის მეშვეობით საგანგებო სიტუაციაში ასევე შესაძლებელია საპროექტო ტერიტორიაზე მოხვედრა ან ტერიტორიიდან გასვლა . აღმოსავლეთის მხრიდან ნაკვეთს ესაზღვრება მრავალსართულიანი კორპუსი , ხოლო დასავლეთის მხრიდან საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციის ზონაში არსებული კერძო მიწის ნაკვეთი .

თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ნაკვეთს განესაზღვრა ფუნქციურ ზონად საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 და შესაბამისად მიენიჭა კოეფიციენტები:

კ1- 0.5; კ2 -3,5; კ3 - 0.2

პროექტის შინაარსი და აღწერა:

საპროექტო შენობის 12 სართული მიწის ზევით არის განთავსებული ხოლო ერთი სართული მიწის ქვევით,

მიწისქვეშა სართული უმეტესად პარკინგის ფუნქციით არის დატვირთული, აქ განთავსებულია 39 მანქანის სადგომი , საპროექტო შენობის ეზოში კი განთავსებულია 31

პარკინგის ადგილი. ასევე მიწისქვეშა სართულზე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე განთავსებულია მიწისქვეშა სართულის ავტოსაშხეფი სისტემისათვის აუცილებელი წყლის რეზერვუარი და სატუმბი დანადგარების ოთახი. მიწისქვეშა სართულზე მოხვედრა შესაძლებელია სამანქანო პანდუსით, კიბის უჯრედებითა და ლიფტებით.

მიწის ზევით არსებული 12 სართული , ითავსებს როგორც კომერციულ (ხუთი სართული) ასევე საცხოვრებელ (შვიდი სართული) ფუნქციებს, რომლის ფართობებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 14-39_ის მიხედვით პროცენტულად არის გადანაწილებული, 43% (5334 მ2) შენობის კომერციულ ფართს უკავია, ხოლო 57% (7170 მ2) საცხოვრებელ ნაწილს. შენობის კომერციული ნაწილის პირველი და მეორე სართული საოფისე დანიშნულების არის , მთლიან საოფისე ფართობს 7 მეტრის სიმაღლის თაღი ორ ნაწილად ყოფს , ოფისებს ემსახურება როგორც შენობის შიგნით არსებული ლიფტები და კიბის უჯრედები , ასევე თაღის მხრიდან ასასვლელი ორი ღია კიბე და ერთი გარე კიბე საზოგადოებრივ გზაზე გამავალი ფასადის მხრიდან ,

კომერციული ფართობის დანარჩენი სამი სართული წარმოადგენს სასტუმროს ტიპის აპარტ-ოტელს , რომელშიც განთავსებულია საცხოვრებელი ტიპის 36 აპარტამენტი , აპარტამენტებს ემსახურება მიწისქვეშა და ასევე მიწისზედა პარკინგი .

დანარჩენი შვიდი სართული წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ ნაწილს , თითოეული სართულის ფართობი 1005 მ2_ია , საცხოვრებელ ბინებს ემსახურებათ ორი კიბის უჯრედი და ოთხი ლიფტი , რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება საერთო დერეფნით , მსგავსი გეგმარებითი გადაწყვეტა ემსახურება შენობის უსაფრთხოების სისტემას და დაგეგმარებულია „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ გათვალისწინებით . თითოეულ საცხოვრებელ სართულზე 12 ბინაა , ჯამში 84 . ყველაზე პატარა ბინის ფართობი არის 40,4 მ^2. რომლის ოთახის ფართობი 21 მ^2 , გაბარიტული ზომები: 515 სმ x 490 სმ.

ყველაზე დიდი ბინის ფართობი 130,9 მ^2.

საცხოვრებელი სართულების მინიმალური სუფთა სიმაღლე პროექტის მიხედვით არის 3 მ.

პროექტის მიხედვით შენობის აბსოლუტური ნიშნული არის 442,60 მ, რომელიც შეესაბამება შენობის პირველი (კომერციული) სართულის + 0.00 ნიშნულს.

ტერიტორია ხასიათდება საშუალო სირთულის რელიეფით , მიწის ნაკვეთის რელიეფის სიმაღლე სამხრეთ-დასავლეთის ნაწილიდან (444.70 მ) ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულბით (440.60 მ) იცვლება დაახლოებით 4 მეტრით . მიწის დონის საპროექტო ნიშნული საზოგადოებრივი ქუჩის მხარიდან შენობის უკანა ეზოსთან მიმართებაში ცვალებადია, შენობის წინა ნაწილი (ჩრდილოეთის მხარე) უმეტესად სწორ ზედაპირს წარმოადგენს და 442,50 - 442,25 ნიშნულებს შორის იცვლება , ხოლო უკანა ეზო (სამხრეთის მხარე) ბუნებრივი რელიეფის გათვალისწინებით დატერასებულია და წარმოადგენს სამ ცვალებად დონეს ,რომლის ნიშნულები იცვლება შემდეგნაირად : 442,50 – 444,0 – 444,70 (444,85) . თითოეული დონე ერთმანეთთან დაკავშირებულია შ.შ.მ პირთათვის გათვალისწინებული პანდუსებით .

შენობის ფასადის მოპირკეთება პროექტის მიხედვით მოხდება სამი სხვადასხვა ტიპის მასალით (მასალების გამოყენების დროს გათვალისწინებულია „შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნები) . პირველი და მეორე სართულის კედლები მოპირკეთდება ტრავერტინის ბუნებრივი ქვით , პროექტის მიხედვით საზოგადოებრივი ქუჩის მხრიდან ფასადზე ფრაგმენტულად გაკეთდება ბარელიეფი, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე , გათვალისწინებით იმისა , რომ საპროექტო შენობა ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე მდებარეობს . კიბის უჯრედები მთლიანად მოპირკეთდება ხის ფაქტურიანი, საფასადე , ვენტილირებადი კომპოზიტური პანელებით . გარე კედლები შეივსება მაღალი ხარისხის 30 სმ_ის სისქის ბეტონის ბლოკით . გარე ზედაპირის ძირითადი ნაწილი დამუშავდება ტექნოლოგიურად მაღალი ხარისხის ზედაპირის მისაღწევად. (შელესვის, გრუნტის და სტრუქტურული ტექსტურის მქონე, მაღალხარისხიანი საღებავით). შენობის პირველი და მეორე სართულები შეივსება მუქი ნაცრისფერი ფერის ალუმინის ვიტრაჟებით , ხოლო შენობის დანარჩენ ნაწილში გამოყენებული იქნება მუქი ფერის ხის ფაქტურიანი მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრა .

პროექტის კონცეფცია წარმოადგენს მოძრავი , დინამიური სივრცის დაგეგმარებას .შენობის გამჭოლი თაღის მეშვეობით მარტივად ხდება შესაძლებელი გადაადგილება საზოგადოებრივი გზის მხრიდან არსებული საქმიანი , დატვირთული ზონიდან , რეკრეაციული , გასართობი თუ დასასვენებელი ზონის მიმართულებით. ეზოში გათვალისწინებული იქნება ბეტონის დეკორატიული ფილებით მოკირწყვლა, მწვანე ნარგავების მოწყობა , პარკინგის ადგილები მოეწყობა ბეტონის ღრუტანიანი გამწვანებული ფილებით , გარე სანათების დამონტაჟება, სარეკრეაციო სივრცის ორგანიზება, ბავშვთა სათამაშო მოედნისა და სპორტული სტადიონის მოწყობა . ფასადებზე დამონტაჟდება გარე (ფასადის) განათება ნორმების გათვალისწინებით.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის გაძლიერებული ბეტონის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო. შენობის კონსტრუქციული სქემა კარკასულია, რკინა-ბეტონის მონოლითური, რიგელიანი კარკასით და მონოლითური გადახურვის ფილებით.

შენობის სახურავი ნაწილობრივ ბრტყელია, თბო და ჰიდროიზოლაციის დამცავი ფენით და წყლის გადაყვანისთვის აუცილებელი 2% ქანობებით. კონსტრუქციულად მონოლითური ფილა გარე პერიმეტზე რიგელების სისტემით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების , შენობის სიმაღლისა და ფართობიდან გამომდინარე, კონსტრუქციის ტიპი არის **I- B.**

დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

მრავალფუნქციური შენობის და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისათვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება #41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“.

- ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას,დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2),** საქმიანი **(სქ)** და საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდულიავტოსადგომი გარაჟი და სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე სათავსოები **-3,20** (ნიშნულზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2დაკავებულობისთვის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი), განსაზღვრულიადაკავებულობისდატვირთვისფაქტორი-**18,6** – **1004 ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **78** დამკავებელს, ხოლო ამავე დაკავებულობის **(სწ-2)** დამხმარე სათავსოებისთის განსაზღვრულიადაკავებულობისდატვირთვისფაქტორი-**27,9 - 1004ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **2** დამკავებელს, საერთო ჯამში **-3,20** ნიშნულზე განთავსებული სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **79** დამკავებელს.

ავტოსადგომი აკმაყოფილებს **406.6 .1 – 406.3 ქვეთავის** მოთხოვნებს, კერძოდ:

406.5.11 ქვეთავით განსაზღვრულ აკრძალვებს.

ასევე გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით**განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, ავტოსადგომი **(სწ-2)** საქმიანი **(სქ)** დაკავებულობის ჯგუფისგან გამიჯნულია მინიმუმ **2 საათიანი** ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) ცხრილის 5.1.1 პარაგრაფში**) თარაზული ანაწყობით და კედლებით, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, ასევე აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომი ადგილის სიგანე შეესაბამება მოთხოვნილ მინიმუმს **2.5** მეტრის , ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხვნილ მინიმუმს **5.5** მეტრს.

ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია **406.9.4.1 ქვეთავისგამონაკლისის** შესაბამისად, განსაზღრულია ცალმხრივი მოძრაობა, ავტოსადგომზე 7-6 ღერძებს შორის მდებარე **5** მეტრი სიგანის შესასვლელით და გამოსასვლელით (პანდუსით - მაქს. **16%** ქანობის მქონე).**406.9.4.4 ქვეთავის** შესაბამისად, გათვალისწინებულია საავტომობილო პანდუსის თარაზულ ზედაპირთან შეხების წერტილიდან **3.5** მეტრ მანძილზე პანდუსის ქანობი **10%**

ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია წესების **406.9.4.3 ქვეთავით** განსაზღვრული 6 მეტრიანი გასავლელი, რომელიც თავისმხრივ მოიცავს **3.5** მეტრიან გზას.

2. საქმიანი ჯგუფის **(სქ)** დაკავებულობა (საოფისე ფართები) წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებსა და ნაგებობებს ან მათ ნაწილების გამოყენებას, საოფისე პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის. **სქ ჯგუფის** დაკავებულობები (1-7 ღერძებში-პირობითად **A-ოფისი** და 8-11 ღერძებში პირობითად **B-ოფისი**) მოიცავს შენობის პირველ და მეორე სართულებს(**+/-0.00; და +3,50;** ნიშნულებზე). **სქ ჯგუფის** დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვი სფაქტორი-**9.3** , **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად , პირველ სართულზე **A-ოფისისთვის** მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **76** დამკავებელს, ხოლო **B-ოფისისთვის 29** დამკავებელს . მეორე სართულზე **A-ოფისისთვის** მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **166** დამკავებელს, ხოლო **B-ოფისისთვის 56** დამკავებელს .

ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი **(სქ)** საცხოვრებელი **(სც-2)**და როგორც უკვე აღინიშნა სასაწყობე**(სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და კედლებით, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2,** წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.
პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია შენობის **+7.20 ,+10.30, +13.60 ნიშნულებზე (სასტუმროები ხანგრძლივად დამკავებლებისთვის** და **+16.90,+20.20,+23.50,+26.80,+30.10,+33.40,+36.70 ნიშნულებზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი)**

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვპუნქტით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2,7 მეტრი), **1208.2 ქვპუნქტით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 3 მეტრი) და **1208.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 40,4 კვ.მ,საცხოვრებელი ოთახის ფართობი არის 21 მ^2), ყველა ბინაში გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი არანაკლებ 14 კვ. მ.-ს ოთახი, ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6**, **1004ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის**მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა,(მე-3 სართულიდან მე-10 ს ჩათვლით **54** დამკავებელს), ხოლო ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **540** დამკავებელს.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

შენობის ელემენტები - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის სვეტები და კოჭები), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს,პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს** , ასევე იატაკის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში IB** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. როგორც უკვე აღინიშნა პროექტის აღწერილობაში საპროექტო შენობა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება მაღლივი შენობის კატეგორიას,რაც გულისხმობს, რომ სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ნიშნული აღემატება 23 მეტრს, მაგრამ არ აღემატება 37 მეტრს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **IB** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე და სართულიანობა არის შეუზღუდავი, თითოეული სართულის დასაშვები ფართობი არსებული დაკავებულობებისთვის (**სწ-2,-7340 კვ.მ ხოლო სქ და სც-2)** არის შეუზღუდავი.

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **12 სართული** (მიწისქვეშა ერთი სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **39.97 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან 422.625 მ.).**

-3,20 ნიშნულზე განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **სწ-2 ჯგუფის** დაკავებულობა**,** რომლის დაკავებულობის ფართობი შეადგენს **1578.8 კვ.მ-ს.**პირველი მიწისპირა სართულიდან მეორეს ჩათვლით (+/-**0.00 - +3,50 ნიშნულებზე)** განთავსებულია **სქ ჯგუფის** დაკავებულობები,რომლის დაკავებულობის ფართობი შეადგენს **1192.79 კვ.მ-ს.** მე-3-12-ე სართულებზე **(+7.20 _+36.70 ნიშნულები)** განთავსებულია საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2,** რომლის დაკავებულობის ფართობი შეადგენს **1013.18 კვ.მ-ს.**
სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის1021.2 ქვეთავის,** და**1021.2(1) ცხრილიდან** გამომდინარე შენობას ემსახურება **2** შიგა გასასვლელის გზა-კიბე ხოლო **სქ ჯგუფისთვის** დამატებით 2 გარე გასასვლელის გზა კიბე, რომელიც წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე

შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ **2** საათს.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **909.20 ქვეთავის** მოთხოვნებს კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეებთან დაკავშირებით.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები პირველ (მიწისპირა) სართულზე **(+/-0.00 ნიშნულზე)** მთავრდება **1027.1 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელი დერეფნით და გზა-კარებით, რომლებიც გადის ეზოში. ეზოს ტერიტორიაზე მოწყობილია უსაფრთხო საფეხმავლო ბილიკი და გარე გზა-კიბე, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ, **-3,20** ნიშნულზე არსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟს **(სწ-2),** დაკავებულობის დატვირთვიდან**(83 დამკავებელი)** და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან **(37 მეტრი)** გამომდინარე ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2(2)ცხრილის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით.

პირველ მიწისპირა სართულზე **(+/- 0.00 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობის **(სქ)** დატვირთვიდან **(A-ოფისისთვის 76 დამკავებელი)** გამომდინარე განსაზღვრულია **3** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც გარე გასასვლელის პანდუსებით უკავშირდება ეზოს და შემდგომ საზოგადოებირვ ქუჩას, რაც ასევე აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. **(B-ოფისისთვის 29 დამკავებელი)** გამომდინარე განსაზღვრულია **2** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც გარე გასასვლელის პანდუსებით უკავშირდება ეზოს და შემდგომ საზოგადოებირვ ქუჩას, რაც ასევე აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის უკანა ეზო აკამყოფილებს წესების **1027.5 ქვეთავის** გამონაკლისის მოთხოვნებს უსაფრთხო გამანაწილებელ ფართობთან დაკავშირებით

მეორე სართულზე **(+3.50 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობის **(სქ)** დატვირთვიდან **(A-ოფისისთვის 166 დამკავებელი)** გამომდინარე განსაზღვრულია **1** შიგა გასასვლელის გზა-კიბე და **2** გარე გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც გარე გასასვლელის პანდუსებით უკავშირდება ეზოს და შემდგომ საზოგადოებირვ ქუჩას, რაც ასევე აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. **(B-ოფისისთვის 56 დამკავებელი)** გამომდინარე განსაზღვრულია **1** გარე გასასვლელის გზა-კიბე და **1** შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც გარე გასასვლელის პანდუსებით უკავშირდება ეზოს და შემდგომ საზოგადოებირვ ქუჩას, რაც ასევე აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მე-3 - მე-12 სართულებისთვის განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. როგორც უკვე აღინიშნა, გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ **2** საათს, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება **6** მეტრს, რაც აკმაყოფილებს **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.

შიგა-გასასვლელის გზა კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა-გასასვლელის გზა კიბეების დაშორებულობასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელბის კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით. გზა კიბეები ერთმანეთისგან დაშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით.ოთხივე გასასვლელის გზა კიბე აკამყოფილებს წესების **403.5.4** და **909.20.5 ქვეთავების** მოთხოვნებს კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით და ყველა სართულზე გათვალისწინებულია ტამბურები ჰაერის ბუნებრივი განიავებით.

პროექტის მიხედვით მხოლოდ ავტოსადგომი გარაჟი არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით და შენობას გააჩნია მინიმუმ **2** გასასვლელი. წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია **60** მეტრი **სც ჯგუფის** დაკავებულობებისთვის და **60** მეტრი **სქ ჯგუფის** დაკავებულობისთვის , რაც პროექტში დაცულია. საპროექტო შენობის მიწისქვეშა სართულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟს **(სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობა)** ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, დაკავებულობის დატვირთა შეადგენს 83 დამაკვებელს, ხოლო გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი შეადგენს **37** მეტრს, აღნიშნულიდან გამომდინარე მიწისქვეშა სართული აკმაყოფილებს წესების **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით.
გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ **2** საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია**1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელი გრძელდება**1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.
გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(222 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(7,6 მმ**-რადგან შენობა მთლიანად არ არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0,9 მეტრი)** მეტი სიგანის გზა-კიბე **(1.2 მ)** და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. გასასვლელის გზა-კიბე ასევე აკმაყოფილებს **1009.7,1009.8** და **1009.15 ქვეპუნქტების** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება **2** საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩამსული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი **90** წუთია.

